ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6101582

ნომერი: AR1918355

თარიღი : 16.08.2022

გაცემის თარიღი : 29.08.2022

გაცნობის თარიღი : 29.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 7 ; ქალაქი თბილისი , საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V , ქუჩა სანდრო ეულის , N 5 , (ნაკვეთი 07/029);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ფანჯაკიძე პ/ნ 01023003478
- მედეა ჩახავას ქ.4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16

აგვისტოს №AR1918355 განცხადებით მომართა დავით ფანჯაკიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებით №01.14.05.007.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“ ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 6 ივლისიდან 2024 წლის 6 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 8 აგვისტოს №6072541 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომისა და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, ჩანაცვლდა -2.80 ნიშნულის გეგმა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ ამჯერად სურს დამხმარე ფართობად 78.5 კვ.მ-ის ნაცვლად 98.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2359.47 კვ.მ-ის ნაცვლად 1930.9 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 11643.27 კვ.მ-ის ნაცვლად 12492.1 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. აღსანიშნავია, რომ საპროექტო შენობის საერთო ფართობი იქნება არა 12492.1 კვ.მ., როგორც მოთხოვნის ტექსტშია დაფიქსირებული, არამედ 12813.0 კვ.მ. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ წარმოდგენილ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 1930.9 კვ.მ., დამხმარე ფართობად 98.2 კვ.მ. და საერთო ფართობად 12813.0 კვ.მ.
2. სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა -2.80 ნიშნულის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 და 2022 წლის 8 აგვისტოს №6072541 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.